ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4493122

ნომერი: AR1679108

თარიღი : 03.05.2019

გაცემის თარიღი : 10.05.2019

გაცნობის თარიღი : 13.05.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ბარნაბიშვილი პ/ნ 01009010768
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. კორ. 2 ბ. 35

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 03 მაისის #AR1679108 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ #01.10.06.012.029 მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას რომლის პასუხად გაცნობებთ:

1. იმისთვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს მოთხოვნილ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა წარმოადგინოთ საპროექტო შენობის განთავსების სქემა.

2. წარმოადგინეთ მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დანომრილი ხე-ნარგავები, მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნის ექსპლიკაციის შესაბამისად.

3. საპროექტო მიწის ნაკვეთს კვეთს თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული გარეგანათების სადენი (ს.კ. N 01.00.210) და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ხაზობრივი ნაგებობა (ს.კ. N 01.01.743). აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს პოზიცია საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით.

4. საინფორმაციო დაფა-ბანერი -> საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: საინფორმაციო დაფაზე დაიტანეთ განაცხადის რეგისტრაციის თარიღი (03/05/2019).

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.